სკრინინგის დასაბუთება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში, შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის სკრინინგის განცხადება

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გომი

დაგეგმილი საქმიანობის აღწერა:

შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის ქარხნაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტის სკრინინგის განცხადება.

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ზე 2016 წელს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56 ასფალტის წარმოებაზე. ასფალტის წარმოება უნდა განხორციელებულიყო გერმანული წარმოების “LINTEK CSD 1500” მობილური ტიპის დანადგარით, რომლის წარმადობა შეადგენდა 120ტ/სთ-ში. რისი ჩანაცვლებაც განხორციელდება იტალიური წარმადობა TOII TOBEP 300/MARINI 250ტ/სთ მობილური დანადგარით.

ახალი დანადგარის შეცვლის შემთხვევაში დიზელის საწვავის ჩანაცვლება მოხდება ბუნებრივი აირით. დანადგარი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გაუმჯობესებული და აღჭურვილი იქნება ელექტრო-ფილტრებით რომლის ეფექტურობა 99,99% შეადგენს.

საწარმოს წარმადობა იქნება 450000ტ/წ; 250ტ/სთ (არსებული წარმადლობა 249 600ტ /წ, 120ტ/ათ.) საწვავად გამოყენებული იქნება ბუნერბივი აირი 270 0000მ^{3}/წელიწადში; ბიტუმსაცავის საქვაბე 72000მ^{3}/წელ), (არსებულ დანადგარის შემთხვევაში - 2475,4ტ/წელი (საშრობი დოლი 2413ტ/წელი, ბიტუმსახარში- 62,4ტ/წელი) ან ბ/აირი 28100080მ^{3}/წელ (საშრობი დოლი 2739360მ^{3}/წელი, ბიტუმსახარში 70720მ^{3}/წელი);

ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და მისი შესაბამის ტერიტორიასთან თავსებადობის და საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ

საქმიანობის მახასიათებლები	კი	არა	შესაძლო ზემოქმედება
საქმიანობის მასშტაბი	√		ასფალტის ქარხნის ტერიტორიის არსებული ფართობი არ იცვლება.
არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		√	კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;	√		✓ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილზე წყლის მომარაგებაზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის)მოპოვების ლიცენზია (#1002660) ✓ მიწის, ნიადაგის და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება არ იქნება.
ნარჩენების წარმოქმნა	√		საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების რაოდენობა და ტიპი უცვლელი რჩება. შესაბამისად დამატებითი ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის.
გარემოს დაბინძურება და ხმაური	√		✓ ხმაურთან დაკავშირებით გამოწვეული ცვლილება არ იქნება მნიშვნელოვანი. ✓ ატმოსფერულ ჰაერში დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი მიუხედავად წარმადობის გაზრდისა ახალი დანადგარი აღჭურვილი იქნება ელექტრო-ფილტრებით

			რომელთა ეფექტურობა იქნება 99,99%. ✓ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა პარამეტრები შემცირდება დიზელის საწვავის ბუნებრივი აირით ჩანაცვლებით.
საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი	√		ავარიულ სიტუაციების რეაგირების გეგმა შემუშავებულია .
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:	კი	არა	შესაძლო ზემოქმედება
ჭარბტენიან ტერიტორიასთან		√	საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან.
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		√	საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან.
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		√	საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან.
დაცულ ტერიტორიასთან		√	საპროექტო ტერიტორია არ შედის დაცულ ტერიტორიაში.
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		√	საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, 1500 მეტრით, შესაბამისად არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		√	ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:	კი	არა	

ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		√	ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა	√		რადგან საწარმოში ხდება არსებული დანადგარის ცვლილება, უფრო გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე დანადგარით, აგრეთვე დიზელის ჩანაცვლება მოხდება ბუნებრივი აირით. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპლექსური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი,

სკრინინგის დასაბუთება

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტი არ იწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას, ასევე ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არ ხდება ატმოსფერულ ჰაერზე, დაცულ ტერიტორიებზე, ბიომრავაფეროვნებაზე და ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე რაიმე ზეგავლენა.

<u>ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ მე-7 მუხლის საფუძველზე შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტი არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ-ს), შესაბამისად ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი'' ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.</u>